**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისია**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 39

**25/10/2020** **ქ. ბათუმი**

**სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, იზოლაციაში (კარანტინში, თვითიზოლაციაში) და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მოქალაქეებისათვის შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაციაში) მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირებზე გაიცეს შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო).

**2.** ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გასაცემი შრომის ანაზრაურების (თანამდებობრივი სარგო) ოდენობა, (კარანტინში განთავსების დღიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე და არჩევა/დანიშვნის დღიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე პერიოდში) განისაზღვროს „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის

ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №279/2020 განკარგულებით და „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების და სპეციალური ჯგუფების წევრებისა და ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 19 ოქტომბრის №280/2020 განკარგულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგოს) 50%-ის ოდენობით.

**3.** ამ განკარგულების შესრულება დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

**4.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**5.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე

სოფიო კახაძე
კომისიის მდივანი